

# სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის  
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31  
დეკემბერს

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 7

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 8

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 9

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 10

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 11

2. მომზადების საფუძველი ..... 11

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 14

4. რისკების მართვა ..... 16

5. წმინდა გამომუშავებული პრემია ..... 21

6. საკომისიო შემოსავალი ..... 21

7. წმინდა სადაზღვევო ზარალები ..... 22

8. სხვა საოპერაციო ხარჯები ..... 22

9. საპროცენტო შემოსავალი ..... 22

10. მოგების გადასახადის ხარჯი ..... 22

11. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 23

12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები ..... 23

13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან ..... 24

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 25

15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ..... 25

16. მარაგები 26

17. ძირითადი საშუალებები ..... 27

18. აქტივების გამოყენების უფლება ..... 27

19. არამატერიალური აქტივები ..... 29

20. სააქციო კაპიტალი ..... 29

21. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები ..... 30

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 30

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 30

24. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები ..... 31

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 31

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა ..... 32

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ..... 42

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

### **აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

#### **მოსაზრება**

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### **მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

#### **განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აბზაცი**

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური კაპიტალის ოდენობას და ჯგუფს არ გააჩნდა სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივები სრული მოცულობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევით განპირობებული ჯარიმის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 88 ათას ლარს (2021: 63 ათასი ლარი). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანია შპს „ალფა“-ს 2022 და 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

## **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## **ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე**

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნი, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

## **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

### **მოსაზრება**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ყუყუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 აპრილი 2023

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

### აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

#### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში. - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

#### განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური კაპიტალის ოდენობას და ჯგუფს არ გააჩნდა სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივები სრული მოცულობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევით განპირობებული ჯარიმის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 88 ათას ლარს (2021: 63 ათასი ლარი). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანია შპს „ალფა“-ს 2022 და 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.



## **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვერდის აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე**

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;



- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საკმარისობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

#### **მოსაზრება**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.



**აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობა, გამოვთქვით მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ყუყუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 აპრილი 2023

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
მთლიანი მოზიდული პრემია		18,476	12,178
გადაზღვევის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში		(4,008)	(2,907)
<b>წმინდა მოზიდული პრემია</b>		<b>14,468</b>	<b>9,271</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(4,046)	629
გადაზღვევის წილი რეზერვის ცვლილებაში		856	(1,004)
<b>წმინდა გამოუმუშავებული პრემია</b>	<b>5</b>	<b>11,278</b>	<b>8,896</b>
საკომისიო შემოსავალი	6	860	1,045
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>		<b>12,138</b>	<b>9,941</b>
სადაზღვევო ზარალების ხარჯი		(10,346)	(8,949)
გადაზღვევის წილი სადაზღვევო ზარალებში		2,451	2,540
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>7</b>	<b>(7,895)</b>	<b>(6,409)</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(3,146)	(2,739)
პოლისების მოზიდვის ხარჯი		(1,073)	(1,165)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	17,18,19	(338)	(568)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	13	(411)	(1,208)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,849)	(1,497)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(6,817)</b>	<b>(7,177)</b>
<b>საოპერაციო ზარალი</b>		<b>(2,574)</b>	<b>(3,645)</b>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	9	1,249	812
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(145)	23
<b>ზარალი დაბეგვრამდე</b>		<b>(1,470)</b>	<b>(2,810)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(329)
<b>წმინდა ზარალი</b>		<b>(1,470)</b>	<b>(3,139)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სრული ზარალი</b>		<b>(1,470)</b>	<b>(3,139)</b>

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

აკაკი ლომაური

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

მაია ხელაშვილი

11-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს "სადაზღვევო კომპანია ალფა" ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
მთლიანი მოზიდული პრემია		18,476	12,178
გადაზღვევის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში		(4,008)	(2,907)
<b>წმინდა მოზიდული პრემია</b>		<b>14,468</b>	<b>9,271</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(4,046)	629
გადაზღვევის წილი რეზერვის ცვლილებაში		856	(1,004)
<b>წმინდა გამომუშავებული პრემია</b>	<b>5</b>	<b>11,278</b>	<b>8,896</b>
საკომისიო შემოსავალი	6	860	1,045
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>		<b>12,138</b>	<b>9,941</b>
სადაზღვევო ზარალების ხარჯი		(10,346)	(8,949)
გადაზღვევის წილი სადაზღვევო ზარალებში		2,451	2,540
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>7</b>	<b>(7,895)</b>	<b>(6,409)</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი პოლისების მოზიდვის ხარჯი		(3,146)	(2,739)
		(1,073)	(1,165)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	17,18,19	(338)	(568)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	13	(411)	(1,208)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,849)	(1,497)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(6,817)</b>	<b>(7,177)</b>
<b>საოპერაციო ზარალი</b>		<b>(2,574)</b>	<b>(3,645)</b>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	9	1,249	812
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(145)	23
<b>ზარალი დაბეგრამდე</b>		<b>(1,470)</b>	<b>(2,810)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(329)
<b>წმინდა ზარალი</b>		<b>(1,470)</b>	<b>(3,139)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სრული ზარალი</b>		<b>(1,470)</b>	<b>(3,139)</b>

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

აკაკი ლომაური

ფინანსური დირექტორი

მაია ხელაშვილი

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,047	626
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	12	7,928	8,653
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	13	9,212	6,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,006	936
გადაზღვევის აქტივები	15	2,931	1,991
მარაგები	16	190	59
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	-	-
ძირითადი საშუალებები	17	686	884
აქტივების გამოყენების უფლება	18	214	371
არამატერიალური აქტივები	19	-	-
<b>სულ აქტივები</b>		<b>24,214</b>	<b>19,818</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	20	26,800	27,800
დაგროვილი ზარალი		(22,464)	(20,994)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>4,336</b>	<b>6,806</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	15	14,949	9,672
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	21	2,392	1,758
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	766	755
ვალდებულება სააქციო კაპიტალის განაწილებიდან	20	1,000	-
საიჯარო ვალდებულებები	18	248	414
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	6	523	413
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>19,878</b>	<b>13,012</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>24,214</b>	<b>19,818</b>

11-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		<b>24,800</b>	<b>(17,855)</b>	<b>6,945</b>
სააქციო კაპიტალის ზრდა		3,000	-	3,000
სრული ზარალი		-	(3,139)	(3,139)
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		<b>27,800</b>	<b>(20,994)</b>	<b>6,806</b>
სააქციო კაპიტალის შემცირება	20	(1,000)	-	(1,000)
სრული ზარალი		-	(1,470)	(1,470)
<b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		<b>26,800</b>	<b>(22,464)</b>	<b>4,336</b>

11-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “სადაზღვევო კომპანია ალფა” ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2022	2021
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო პრემია	13,279	11,473
გადახდილი ზარალები	(9,154)	(9,573)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(773)	(742)
გადაზღვევიდან მიღებული თანხები	582	-
რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების გასვლიდან მიღებული თანხები	1,338	1,566
გადახდილი პოლისების მოზიდვის ხარჯი	(1,075)	(1,124)
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(3,155)	(2,818)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,350)	(902)
მიღებული პროცენტი	1,974	924
დეპოზიტზე თანხის წმინდა განთავსება	480	(3,000)
დეპონირებული თანხების წმინდა დაბრუნება	(78)	(84)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,068</b>	<b>(4,280)</b>
გადახდილი პროცენტი	(47)	(92)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,021</b>	<b>(4,372)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(32)	(73)
ძირითადი საშუალებების გასვლა	41	41
ფინანსური იჯარიდან მიღებული თანხები	-	60
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5)	(173)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>4</b>	<b>(145)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</b>		
სესხის აღება	-	450
სესხის დაფარვა	(450)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(154)	(202)
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	3,000
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>(604)</b>	<b>3,248</b>
<b>წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში</b>	<b>1,421</b>	<b>(1,269)</b>
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>626</b>	<b>1,895</b>
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>2,047</b>	<b>626</b>

11-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 2009 წელს. ჯგუფი ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს, როგორც კორპორატიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, აგრო დაზღვევა, ფინანსური რისკების დაზღვევა და ა.შ.

ჯგუფის მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის ქ. 16. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ავერსი-ფარმა“, რომელსაც 67%-იანი და 33%-იანი წილებით აკონტროლებენ პაატა კურტანიძე და ნიკოლოზ კურტანიძე.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს 100%-იან შვილობილ საწარმოს - შპს „ალფას“, რომლის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა მარკეტინგული და საშუამავლო საქმიანობა.

## ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანია შპს „ალფა“-ს 2022 და 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

## 2. მომზადების საფუძველი

### ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებად პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ხელმძღვანელობის ფინანსური პროგნოზის მიხედვით ჯგუფი შეძლებს საოპერაციო ფულადი ნაკადებით ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების სრულად გადახდას, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს დაფინანსების მიღებას მშობელი საწარმოდან და აღნიშნული არ წარმოადგენს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.



## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

### ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

**ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი.** 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

**კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).** 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისის საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასს 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

**ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება).** 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

**ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე).** 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

### ბ) 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

**ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.** ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. 2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომელთაგან მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისთვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და, ჩვეულებრივ, ვრცელდება გარკვეულ არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე. სადაზღვევო ხელშეკრულებების ახალი სააღრიცხვო მოდელის ძირითადი მახასიათებლებია:

- სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასების, რომელიც ითვალისწინებს რისკის ფაქტორების მიხედვით აშკარა კორექტირებას, ხელახლა შეფასება თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის (რეალიზებადი ფულადი ნაკადები - მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკების გათვალისწინებით);
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც უდრის და უკუპროპორციულია ხელშეკრულებების ჯგუფის რეალიზებადი ფულადი ნაკადების ნებისმიერი პირველი დღის შემოსავლისა. სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების გამოუმუშავებელ მომგებიანობას და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მომსახურების ვადაზე (ანუ მოცულ პერიოდზე);
- სამომავლო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დისკონტირებული ღირებულების გარკვეული ცვლილებები კორექტირდება სახელშეკრულებო მომსახურების მარჟის მიხედვით და ამიტომ მათი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სახელშეკრულებო მომსახურების დარჩენილ ვადაზე.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- დისკონტირების განაკვეთების ცვლილებების ეფექტი აღირიცხება ან მოგებაში/ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, იმისდა მიხედვით, თუ რას ირჩევს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.
- სადაზღვევო შემოსავლისა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯების აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურების კონცეფციის საფუძველზე;
- თანხები, რომლებსაც პოლისის მფლობელი ყოველთვის მიიღებს, იმისდა მიუხედავად, მოხდება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა (ინვესტიციის არამკაფიო კომპონენტები), არ არის წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მათი აღიარება პირდაპირ ბალანსში ხდება;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგები (მიღებულ შემოსავალს გამოკლებული გაწეული ზარალი) სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური შემოსავლისა თუ ხარჯისგან ცალკეა წარმოდგენილი;
- დაწვრილებით განმარტებითი შენიშვნები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან აღიარებულ თანხებზე და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკების ხასიათსა და მოცულობაზე.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი. ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

### ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების დანერგვა

ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფს არ აქვს დანერგილი ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები. კომპანია 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე გეგმავს ფასს 17-ის დანერგვას.

ფასს 17-ის დანერგვისას ორი ძირითადი ამოცანაა, სააღრიცხვო ფორმებისა და სისტემის კორექტირება შესაბამისი ინფორმაციისა და შედეგების შესაგროვებლად (სააღრიცხვო ამოცანა), და ტექნიკური (აქტუარული) სისტემის დანერგვა საჭირო ინფორმაციის მიწოდებისთვის (აქტუარული ამოცანა). სააღრიცხვო ამოცანა შეიძლება შესრულდეს ჯგუფის შიდა რესურსებით და განიხილოს ჯგუფის შიდა აუდიტორებმა, ან შეიძლება ჯგუფმა დაიქირავოს სხვა აუდიტორული ფირმა ან ბიზნეს კონსულტანტები. აქტუარული ამოცანა შეიძლება შესრულდეს შიდა, აქტუარული კონსულტანტის ან აუდიტორული ფირმის აქტუარულ ჯგუფთან ერთად.

იმპლემენტაციის პროცესი დაყოფილია სამ ფაზად, ზემოქმედების შეფასების ფაზა, განხორციელების ფაზა და განხილვისა და ტესტირების ფაზა. თითოეული ეს ეტაპი იყოფა სააღრიცხვო და აქტუარულ ამოცანებს შორის. აღნიშნული პროცესის შემადგენელი ნაწილია აღრიცხვა ანგარიშგების თანამშრომლების გადამზადება და პროფესიული ტრენინგების ჩატარება.

**სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“.** მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

**გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება).** 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

### გ) 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-მ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-მ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

ჯგუფის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### ძირითადი შეფასებები და დაშვებები

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების რეზერვი

დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)**

გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

**(გ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დამკვეთს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**(დ) გადავადებული მოგების გადასახადი**

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასახეური მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება. მომავალი საგადასახადო მოგების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობასთან. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**(ე) ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**ვ) იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები**

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**ზ) სასამართლო დავები**

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### 4. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

##### 4.1. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას. კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

##### კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. ჯგუფის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს ჯგუფის კაპიტალის პოზიციაზე.

##### 4.2 სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. ჯგუფის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

ჯგუფი რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. ჯგუფი ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

ჯგუფი იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე. ჯგუფის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2022	2021
ზარალის კოეფიციენტი	0.65	0.64

#### 4. რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სიცოცხლის, ქონების, მესამე პირის პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, კარგოს, აგროს, საჰაერო, ფინანსური რისკების და სამედიცინო დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი - ძირითადად ქონების დაზღვევისთვის, სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემოსავლებზე.

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული განხილვა წარმოადგენს ჯგუფის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. ჯგუფი ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით.

#### სადაზღვევო რისკის მგრძობელობა

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. ჯგუფი ზარალიანობის კოეფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას.

ჯგუფის მგრძობელობა ზარალიანობის კოეფიციენტთან მიმართებაში 0.2 პუნქტით ზრდისა და შემცირების პირობებში შეადგენს მოგება/(ზარალს) 1,504 ათას ლარს (2021 – 844 ათასი ლარი). ხელმძღვანელობის შეფასებით 0.2 პუნქტის ცვლილება წარმოადგენს ზარალიანობის კოეფიციენტის შესაძლო ცვლილების გონივრულ საზღვრებს. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პორტფელიდან მოსალოდნელ წმინდა სადაზღვევო შემოსავლებს და წმინდა სადაზღვევო ზარალების გონივრულ ცვლილებას.

#### სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად ჯგუფი იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევო რისკების კონცენტრაციას გამოხატავს წმინდა გამომუშავებელი პრემიის განაწილება სახეობების მიხედვით (შენიშვნა 5).

#### მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასების განუსაზღვრელობების საფუძველი

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ რისკს, და ჯგუფის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს.

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც ჯგუფის ინფორმაცია გააჩნია.

ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატობაზე: ჯგუფი განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მოქმედების სფეროში. თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ ჯგუფი სხვაობის თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

**4. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**4.3. ფინანსური რისკების მართვა**

ჯგუფი, თავის საქმიანობაში დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტებს, რომლებიც ფინანსური რისკის წინაშე დგას.

	2022	2021
გადაზღვევის აქტივები	726	642
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	9,212	6,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	461	448
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,928	8,653
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,047	626
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>20,374</b>	<b>16,667</b>
	2022	2021
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,748	4,517
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	2,392	1,758
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	766	755
საიჯარო ვალდებულებები	248	414
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>9,154</b>	<b>7,444</b>

**ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულებას ჯგუფი აფასებს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო

**4. რისკების მართვა (გაგრძელება)**

განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამოდინარეობს მომავალი ფულადი ნაკადიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების, სესხები და საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს იჯარებისთვის 7%-დან 12%-მდე, სესხებისთვის და საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებისთვის 13%-დან 15%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების და სესხების რეალური ღირებულება მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, ჯგუფი აფასებს ყოველ ახალ დამზღვევის მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2022	2021
გადაზღვევის აქტივები	726	642
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	9,212	6,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	461	448
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,928	8,653
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,047	626
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>20,374</b>	<b>16,667</b>

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი რისკებს აკონტროლებს ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ფინანსურ სტრატეგიას. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**4. რისკების მართვა (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
<b>პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,748	-	-	5,748
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	2,392	-	-	2,392
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	766	-	-	766
<b>პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები</b>				
საიჯარო ვალდებულებები	127	158	-	285
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები 2022</b>	<b>9,033</b>	<b>158</b>	<b>-</b>	<b>9,191</b>
<b>პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,517	-	-	4,517
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	1,758	-	-	1,758
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755	-	-	755
<b>პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები</b>				
საიჯარო ვალდებულებები	189	293	-	482
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები 2021</b>	<b>7,219</b>	<b>293</b>	<b>-</b>	<b>7,512</b>

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

**საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფის მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებულია აშშ დოლარში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2022	2021
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან გაუფასურების გამოკლებით	2,379	1,755
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>2,379</b>	<b>1,755</b>
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	1,974	1,420
საიჯარო ვალდებულებები	48	161
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,022</b>	<b>1,581</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>357</b>	<b>174</b>

**სავალუტო რისკის მგრძობელობა**

ჯგუფის მგრძობელობა აშშ დოლარის ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში შეადგენს მოგება/(ზარალს) 71 ათას ლარს (2021 – 35 ათასი ლარი). 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**5. წმინდა გამომუშავებული პრემია**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს წმინდა გამომუშავებულ პრემიას დაზღვევის სახეობების მიხედვით.

2022	მოზიდული პრემია	გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამომუშავებული პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
კასკო	8,295	(2,786)	5,509	(793)	4,716
სამედიცინო	7,964	-	7,964	(2,295)	5,669
ქონება	788	(654)	134	(8)	126
პროფესიული					
პასუხისმგებლობა	674	(306)	368	17	385
სამოგზაურო	312	-	312	(112)	200
კარგო	259	(182)	77	(1)	76
უბედური შემთხვევა	82	-	82	(31)	51
ფინანსური რისკები	44	(22)	22	33	55
სხვა ვალდებულება	58	(58)	-	-	-
<b>სულ</b>	<b>18,476</b>	<b>(4,008)</b>	<b>14,468</b>	<b>(3,190)</b>	<b>11,278</b>

2021	მოზიდული პრემია	გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამომუშავებული პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
კასკო	4,567	(1,524)	3,043	(361)	2,682
სამედიცინო	4,504	-	4,504	4	4,508
ქონება	3,291	(2,101)	1,190	70	1,260
პროფესიული					
პასუხისმგებლობა	594	(323)	271	(55)	216
სამოგზაურო	80	-	80	(3)	77
კარგო	180	(158)	22	(1)	21
უბედური შემთხვევა	76	-	76	(60)	16
ფინანსური რისკები	151	(66)	85	31	116
საჰაერო ტრანსპორტი	(1,265)	1,265	-	-	-
<b>სულ</b>	<b>12,178</b>	<b>(2,907)</b>	<b>9,271</b>	<b>(375)</b>	<b>8,896</b>

\*ჯგუფი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს. სავალდებულო დაზღვევით მოზიდული პრემია საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 2,334 ათას ლარს (2021 – 1,275 ათასი ლარი).

2022 წელს კომპანიამ შეწყვიტა აგრო დაზღვევის მიმართულება.

**6. საკომისიო შემოსავალი**

	2022	2021
1 იანვრისთვის	413	326
მოზიდული საკომისიო	970	1,132
გამომუშავებული საკომისიო	(860)	(1,045)
<b>31 დეკემბრისთვის</b>	<b>523</b>	<b>413</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

7. წმინდა სადაზღვევო ზარალები

	2022	2021
დარეგულირებული ზარალები	(9,734)	(9,601)
ზარალების რეზერვებში ბრუტო ცვლილება	(1,231)	217
რეგრესები გადაზღვევის წილის გამოკლებით*	619	435
<b>სულ სადაზღვევო ზარალები</b>	<b>(10,346)</b>	<b>(8,949)</b>
გადაზღვევის წილი დარეგულირებულ ზარალებში	2,367	3,013
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადაზღვევის წილი	84	(473)
<b>სულ გადაზღვევის წილი სადაზღვევო ზარალებში</b>	<b>2,451</b>	<b>2,540</b>
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>(7,895)</b>	<b>(6,409)</b>

\*ჯგუფი რეგრესიდან მოთხოვნას აღიარებს მაშინ როდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. რეგრესიდან შემოსავალი აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
სარეკლამო ხარჯი	(661)	(284)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(369)	(337)
სავალდებულო დაზრდვის ცენტრის ხარჯი	(205)	(233)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(110)	(169)
კომუნალური ხარჯი	(86)	(131)
სამეურნეო ხარჯი	(80)	(89)
ტრანსპორტირება	(79)	(100)
სხვა	(259)	(154)
<b>სულ</b>	<b>(1,849)</b>	<b>(1,497)</b>

საკონსულტაციო და სხვა პროფესიულ მომსახურებაში ფინანსურსი ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ხარჯი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს შესაბამისად 33 ათასი ლარს (2021 - 36 ათასი ლარი).

9. საპროცენტო შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,296	890
საპროცენტო შემოსავალი უკუიჯარიდან	-	17
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე	(30)	(84)
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(17)	(11)
<b>სულ</b>	<b>1,249</b>	<b>812</b>

10. მოგების გადასახადის ხარჯი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თეორიული და ფაქტიური მოგების გადასახადის ხარჯის შეჯერებას.

	2022	2021
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>(1,470)</b>	<b>(2,810)</b>
გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	221	422
აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	(159)	(90)
გადავადებული საგადასახადო აქტივის გაუფასურება	-	(329)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(62)	(332)
<b>სულ</b>	<b>-</b>	<b>(329)</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**10. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს გადავადებული საგადასახადო აქტივს და ვალდებულებას.

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა აქტივი	წმინდა ხარჯი
<b>2022</b>				
ძირითადი საშუალებები	-	(98)	(98)	29
არამატერიალური აქტივები	41	-	41	(7)
წინა წლების ზარალი	57	-	57	(22)
<b>საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>98</b>	<b>(98)</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>2021</b>				
ძირითადი საშუალებები	-	(127)	(127)	22
არამატერიალური აქტივები	48	-	48	10
წინა წლების ზარალი	79	-	79	(361)
<b>საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>127</b>	<b>(127)</b>	<b>-</b>	<b>(329)</b>

აუღიარებელი საგადასახადო აქტივი დაგროვილი საგადასახადო ზარალიდან 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს შესაბამისად 1,058 ათას და 1,330 ათას ლარს. წინა წლების დაგროვილი საგადასახადო მოგების გამოყენება ჯგუფს შეუძლია ზარალის წარმოქმნიდან მაქსიმუმ 10 წლის განმავლობაში.

2022 წლის 31 დეკემბერს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდება 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2024 წლის 1 იანვრიდან იზღუდება დაგროვილი საგადასახადო ზარალის გამოყენება.

**11. ფული და ფულის ეკვივალენტები**

	2022	2021
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	1,873	583
შეზღუდული ფული	174	43
<b>სულ</b>	<b>2,047</b>	<b>626</b>

\*შეზღუდული ფული წარმოადგენს მომხმარებელთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების საგარანტიო უზრუნველყოფას.

**12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები**

	2022	2021
მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	7,800	8,300
დარიცხული პროცენტი	128	806
<b>საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები</b>	<b>7,928</b>	<b>9,106</b>
დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი	-	(453)
<b>წმინდა მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>	<b>7,928</b>	<b>8,653</b>

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადით გახსნილ დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში. დეპოზიტები განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში. ჯგუფს მოეთხოვება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი რეზერვების სიდიდეზე. ჯგუფის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

	2022	2021
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (ჯანმრთელობა)	5,452	3,855
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (არაჯანმრთელობა)	6,278	4,081
მოთხოვნები გადაზღვევიდან	29	498
	<b>11,759</b>	<b>8,434</b>
პოლისის მფლობელებთან არსებული მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(2,547)	(2,136)
<b>სულ</b>	<b>9,212</b>	<b>6,298</b>

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. ჯგუფი არ აღიარებს დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან ჯგუფს არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება. ამავდროულად, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული დავალიანება აღემატება მათ მიმართ არსებულ მოთხოვნას.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ბოლო სამი წლის მოსალოდნელი და ფაქტიური საკრედიტო ზარალი და დაასკვნა, რომ ფაქტიური ამოღების მაჩვენებელი აღემატება მოსალოდნელ შედეგებს. ანალიზის საფუძველზე ხელმძღვანელობამ შეამცირა მოსალოდნელი გაუფასურების განაკვეთები შესაბამისი ვადაგადაცილების ჯგუფებისთვის. ჯგუფმა განაახლა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. განაკვეთების ცვლილების გავლენა გაუფასურების ანარიცხზე შეადგენს 255 ათას ლარს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს დაზღვევიდან და გადაზღვევიდან არსებული მოთხოვნების მოსალოდნელ გაუფასურების დანაკარგს.

	გაუფასურების განაკვეთი		გაუფასურების რეზერვი		მოთხოვნა	
	2022	2021	2022	2021	2022	2021
<b>დაკავშირებული მხარეები და მასთან დასაქმებულები</b>						
მიმდინარე	0%	0%	-	-	1,890	1,568
0-90 დღის ვადაგადაცილება	0%	0%	-	-	130	277
91-180 დღის ვადაგადაცილება	0%	0%	-	-	68	75
181-270 დღის ვადაგადაცილება	0%	0%	-	-	39	71
271-360 დღის ვადაგადაცილება	0%	0%	-	-	35	64
360 დღეზე მეტი	0%	0%	-	-	3	361
			-	-	<b>2,165</b>	<b>2,416</b>
<b>არადაკავშირებული მხარეები</b>						
მიმდინარე	0% - 4%	0% - 5%	(151)	(125)	6,257	3,412
0-90 დღის ვადაგადაცილება	0% - 31%	0% - 44%	(166)	(131)	881	517
91-180 დღის ვადაგადაცილება	0% - 67%	0% - 96%	(117)	(169)	218	206
181-270 დღის ვადაგადაცილება	12% - 68%	10% - 97%	(93)	(160)	156	259
271-360 დღის ვადაგადაცილება	32% - 68%	30% - 98%	(73)	(132)	117	190
360 დღეზე მეტი	90% - 100%	90% - 100%	(1,947)	(1,419)	1,965	1,434
			<b>(2,547)</b>	<b>(2,136)</b>	<b>9,594</b>	<b>6,018</b>
					<b>11,759</b>	<b>8,434</b>
გაუფასურების რეზერვი					(2,547)	(2,136)
<b>წმინდა მოთხოვნები</b>					<b>9,212</b>	<b>6,298</b>

2022 წელს დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი შეადგენს 411 ათას ლარს (2021: 1,208 ათასი ლარი), რომელიც შეესაბამება გაუფასურების რეზერვის მოძრაობას .

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2022	2021
მოთხოვნები რეგრესიებიდან	424	424
სხვა მოთხოვნები	37	24
<b>სულ ფინანსური მოთხოვნები</b>	<b>461</b>	<b>448</b>
გადახდილი ავანსები	521	411
საგადასახადო აქტივი	24	77
<b>სულ არაფინანსური მოთხოვნები</b>	<b>545</b>	<b>488</b>
<b>სულ</b>	<b>1,006</b>	<b>936</b>

ჯგუფი რეგრესიებიდან მოთხოვნებს განიხილავს, თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით გაუფასურებულ მოთხოვნებად. ჯგუფი ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს საკრედიტო რისკით კორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და გამოიყენებს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ჯგუფმა მოთხოვნები რეგრესიებიდან გამოიწნა, როგორც „ჯგუფი 1“ და „ჯგუფი 2“:

- ჯგუფი 1 წარმოადგენს არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომელიც ძირითადად მოიცავს ავტოდაზღვევის ზარალებიდან მესამე მხარის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს. ჯგუფი განიხილავს წარსულ გამოცდილებას და რეგრესიებიდან მოთხოვნას აღიარებს მაშინ, როდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.
- ჯგუფი 2 წარმოადგენს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფინანსური რისკების დაზღვევის ზარალებიდან დამზღვევის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი ფულადი ნაკადი მოიცავს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მოსალოდნელ წმინდა ფულადი ნაკადებს.

რეგრესიებიდან მოთხოვნები აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით. ჯგუფის უფლება ფინანსური და ავტო ზარალებიდან წარმოქმნილ რეგრესზე გადაზღვევის წილის გამოკლებით, რომლისთვისაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო აღიარებული მოთხოვნა შეადგენდა 2,970 ათას ლარს. (2021- 3,075 ათასი ლარი).

სხვა მოთხოვნები წარმოადგენს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის უზრუნველყოფას, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას ტენდერის ჩატარების შემდეგ. ჯგუფი არ აღიარებს გაუფასურების ანარიცხს დედა კომპანიის მიმართ არსებულ და სხვა მოთხოვნებზე, რადგან ჯგუფის არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება.

**15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**

<b>სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები</b>		
	2022	2021
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	9,201	5,155
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	4,639	4,036
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	1,109	481
	<b>14,949</b>	<b>9,672</b>
<b>გადაზღვევის აქტივები</b>		
	2022	2021
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	2,205	1,349
გადაზღვევის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	527	435
გადაზღვევის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	199	207
<b>სულ გადაზღვევის აქტივები</b>	<b>2,931</b>	<b>1,991</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზს.

**ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი:**

**გამომუშავებელი პრემიის რეზერვი ბრუტო**

	2022	2021
ნაშთი 1 იანვრისთვის	5,155	5,784
მოზიდული პრემია	18,476	12,178
ბრუტო გამომუშავებული პრემია	(14,430)	(12,807)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>9,201</b>	<b>5,155</b>

**გადაზღვევის წილი გამომუშავებელი პრემიის რეზერვში**

	2022	2021
ნაშთი 1 იანვრისთვის	1,349	2,353
გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	4,008	2,907
გამომუშავებულ პრემიაში გადაზღვევის წილი	(3,152)	(3,911)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>2,205</b>	<b>1,349</b>

**ბ) ზარალების რეზერვი**

**ზარალების რეზერვი, ბრუტო**

	2022	2021
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	4,517	4,734
წინა და მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(9,734)	(9,601)
მიმდინარე წლის ზარალები და ცვლილება წინა წლის ზარალებში	10,965	9,384
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>5,748</b>	<b>4,517</b>

**ზარალების რეზერვი, გადაზღვევის წილი**

	2022	2021
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	642	1,115
წინა და მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(2,367)	(3,013)
მიმდინარე წლის ზარალები და ცვლილება წინა წლის ზარალებში	2,451	2,540
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>726</b>	<b>642</b>

სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, აგრო, საჰაერო, ფინანსური რისკების, კარგოს და სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად 12-თვიანია. სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხა არ დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში.

ცხრილი გვიჩვენებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის სტატუსს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2021		2022	
	რეზერვი	დაფარვა	რეზერვი	გაუქმება
სამედიცინო	2,950	1,772	878	300
არასამედიცინო	1,086	326	539	221
<b>სულ</b>	<b>4,036</b>	<b>2,098</b>	<b>1,417</b>	<b>521</b>

**16. მარაგები**

	2022	2021
გარანტიების უზრუნველყოფიდან ამოღებული აქტივები	141	16
გადარჩენილი ქონება	34	32
სხვა მარაგები	15	11
<b>სულ</b>	<b>190</b>	<b>59</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

17. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ქონების კეთილმოწყობა	სულ
31.12.2020	545	661	354	110	141	1,811
შემოსვლა	-	6	23	29	29	87
გასვლა	-	(3)	(13)	(27)	(122)	(165)
31.12.2021	545	664	364	112	48	1,733
შემოსვლა	-	4	11	17	-	32
გასვლა	-	(30)	(24)	(67)	-	(121)
31.12.2022	545	638	351	62	48	1,644
<b>დაგროვილი ცვეთა</b>						
31.12.2020	(74)	(369)	(207)	(26)	(25)	(701)
ცვეთა	(14)	(100)	(48)	(11)	(20)	(193)
გასვლა	-	2	6	2	35	45
31.12.2021	(88)	(467)	(249)	(35)	(10)	(849)
ცვეთა	(14)	(97)	(49)	(9)	(7)	(176)
გასვლა	-	28	20	19	-	67
31.12.2022	(102)	(536)	(278)	(25)	(17)	(958)
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
31.12.2021	457	197	115	77	38	884
31.12.2022	443	102	73	37	31	686

18. აქტივების გამოყენების უფლება

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს სათაო და გაყიდვების ოფისის იჯარებს. სათაო ოფისის იჯარა მიღებულია დაკავშირებული მხარისგან. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 17 თვიან პერიოდს სათაო ოფისისთვის და 24 თვიან პერიოდს გაყიდვების ოფისისთვის. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იჯარის ვადას, ზღვრული სასესხო განაკვეთს და საიჯარო გადასახდელებს საწყისი აღიარებისას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც აქტივის გამოყენების უფლება აღიარებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ოფისი	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი	ვალუტა	საიჯარო გადასახდელი თვეები (ნომინალი)
გაყიდვები	2 თვე	22 თვე	24 თვე	4%	აშშ დოლარი	2 თვე 1,483 2 თვის შემდეგ 2,966
სათაო	2 თვე	82 თვე	84 თვე	12%	ლარი	5,500

ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იჯარით აღებული ქონების ნარჩენი მომსახურების ვადის დასრულებამდე, რადგან აღნიშნული ხელშეკრულების გაწყვეტით ჯგუფი მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს. ჯგუფმა 2021 წელს შეწყვიტა გაყიდვების ოფისის საიჯარო ხელშეკრულება, რის შედეგადაც შეწყდა შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლების და საჯარო ვალდებულების აღიარება.

ჯგუფს არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის.

ჯგუფის იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს 17 თვიანი პერიოდისთვის სათაო ოფისის შემთხვევაში. რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, ჯგუფი ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**18. აქტივების გამოყენების უფლება (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	გაყიდვების ოფისი	სათაო ოფისი	სულ
<b>31.12.2020</b>	<b>687</b>	<b>321</b>	<b>1,008</b>
იჯარის მოდიფიკაცია	(273)	-	(273)
იჯარის საწყისი აღიარება	204	-	204
ამორტიზაცია	(113)	(54)	(167)
გასვლა	(352)	(49)	(401)
<b>31.12.2021</b>	<b>153</b>	<b>218</b>	<b>371</b>
ამორტიზაცია	(103)	(54)	(157)
<b>31.12.2022</b>	<b>50</b>	<b>164</b>	<b>214</b>

ჯგუფმა 2021 წელს შეწყვიტა გაყიდვების ოფისის საიჯარო ხელშეკრულება, რის შედეგადაც შეწყდა შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლების, ქვეიჯარიდან წარმოქმნილი ფინანსური აქტივის და საჯარო ვალდებულების აღიარება. ოპერაციის შედეგად მიღებული შედეგი აღიარებულია სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს მოკლევადიანი იჯარები, რომელიც ძირითადად უკავშირდება გაყიდვების ოფისებს. ასეთი იჯარების შეუქცევადი პერიოდი მერყეობს 7-დღიდან 180 დღემდე. მინიმალური საიჯარო გადასახდებლების ჯამი მოკლევადიანი იჯარების შეუქცევადი პერიოდისთვის შეადგენს შესაბამისად 4 ათას და 10 ათას ლარს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი იჯარების ჩანაცვლება მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ჯარიმების გარეშე ადვილად შესაძლებელია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	გაყიდვების ოფისი	სათაო ოფისი	სულ
<b>31.12.2020</b>	<b>1,171</b>	<b>354</b>	<b>1,525</b>
იჯარის მოდიფიკაცია	(273)	-	(273)
იჯარის საწყისი აღიარება	204	-	204
საპროცენტო ხარჯი	52	32	84
გადახდა	(207)	(79)	(286)
იჯარის შეწყვეტა	(757)	(54)	(811)
საკურსო სხვაობა	(29)	-	(29)
<b>31.12.2021</b>	<b>161</b>	<b>253</b>	<b>414</b>
საპროცენტო ხარჯი	4	26	30
გადახდა	(105)	(79)	(184)
საკურსო სხვაობა	(12)	-	(12)
<b>31.12.2022</b>	<b>48</b>	<b>200</b>	<b>248</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების განაწილებას ვადიანობის მიხედვით.

	გაყიდვების ოფისი	სათაო ოფისი	სულ
ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	48	59	107
ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	-	141	141
<b>სულ 2022</b>	<b>48</b>	<b>200</b>	<b>248</b>
ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	106	53	159
ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	55	200	255
<b>სულ 2021</b>	<b>161</b>	<b>253</b>	<b>414</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**19. არამატერიალური აქტივები**

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული პროგრამები	პროგრამა დანერგვის ფაზაში	სულ
<b>31.12.2020</b>	<b>700</b>	<b>-</b>	<b>700</b>
შემოსვლა	116	86	202
<b>31.12.2021</b>	<b>816</b>	<b>86</b>	<b>902</b>
შემოსვლა	-	5	5
<b>31.12.2022</b>	<b>816</b>	<b>91</b>	<b>907</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>			
<b>31.12.2020</b>	<b>(694)</b>	<b>-</b>	<b>(694)</b>
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(20)	-	(20)
გასვლა	(102)	(86)	(188)
<b>31.12.2021</b>	<b>(816)</b>	<b>(86)</b>	<b>(902)</b>
გაუფასურება	-	(5)	(5)
<b>31.12.2022</b>	<b>(816)</b>	<b>(91)</b>	<b>(907)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>31.12.2021</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>31.12.2022</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

2022 და 2021 წლის ფაქტობრივი, ნეტო ფულადი ნაკადი მიღებული საოპერაციო შედეგი, დაგეგმილ მაჩვენებლებზე გაცილებით უარესია; აღნიშნული გარემოება ხელმძღვანელობამ განიხილა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) გაუფასურების ნიშნად და ჩაატარა გაუფასურების ტესტირება. ჯგუფის მთლიანი საქმიანობა ჯგუფმა განიხილა, როგორც ერთი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემადგენელი ნაწილი.

ჯგუფმა ანაზღაურების ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოიყენა გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება და გამოყენების ღირებულება. ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლებისთვის ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება, ხოლო არამატერიალური აქტივებისთვის გამოყენების ღირებულება.

ჯგუფმა შეამცირა აქტივების საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე და აღიარა გაუფასურების ხარჯი მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფმა გამოყენების ღირებულება გაიანგარიშა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. შემდეგი ძირითადი დაშვებებია გამოყენებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშების პროცესში:

- ფულადი ნაკადების გაანგარიშების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობამ ყველა გრძელვადიანი აქტივი განიხილა, როგორც ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთი ერთეული, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და გონივრულობის საფუძველზე, შეუძლებელია ფულადი ნაკადების არსებითი ნაწილების თითოეულ აქტივზე გადანაწილება;
- მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი გაკეთებულია წარსულში ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და შეფასების თარიღისთვის არსებულ ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით;
- ფულადი ნაკადები შეფასებულია 1 წლიანი საპროგნოზო პერიოდისთვის. რომლის შემდეგ მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებულია გრძელვადიანი ზრდის ტემპი 3% ლარში.

შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები ემყარება ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაზე არსებით გავლენას ახდენს საპროგნოზო ფულადი ნაკადები.

**20. სააქციო კაპიტალი**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა შეადგენს 34,396,000 ცალს, ნომინალური ღირებულებით 0.81 ლარი ერთ აქციაზე. აქციების რაოდენობა შეესაბამება პროპორციულ ხმის უფლებას. 2022 წელს ჯგუფმა შეამცირა სააქციო კაპიტალი 1,000 ათასი ლარით, რის შედეგადაც ერთი აქციის ნომინალური ღირებულება გახდა 0.78 ლარი.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

21. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

	2022	2021
ვალდებულებები გადამზღვევების წინაშე	1,974	1,420
ვალდებულებები პოლისების მოზიდვიდან	418	338
<b>სულ</b>	<b>2,392</b>	<b>1,758</b>

ჯგუფი გეგმავს გადამზღვევლის მიმართ არსებული მოთხოვნის და ვალდებულების ურთიერთგადაფარვას და ანგარიშწორებას წმინდა ნაშთის საფუძველზე. აღნიშნული არ არის შეზღუდული იურიდიულად. ცხრილი გვიჩვენებს გადაზღვევის აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას.

	2022		2021	
	მოთხოვნა	ვალდებულება	მოთხოვნა	ვალდებულება
მოთხოვნები დარეგულირებულ ზარალებში გადაზღვევიდან	826	-	1,032	-
მოთხოვნები საკომისიო შემოსავლიდან	300	-	418	-
<b>მთლიანი მოთხოვნები გადამზღვევლის მიმართ</b>	<b>1,126</b>	<b>-</b>	<b>1,450</b>	<b>-</b>
ვალდებულება გადამზღვევლების წინაშე	-	3,071	-	<b>2,372</b>
ურთიერთგადაფარვა	(1,097)	(1,097)	(952)	(952)
<b>წმინდა მოთხოვნა/ვალდებულება</b>	<b>29</b>	<b>1,974</b>	<b>498</b>	<b>1,420</b>

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
გადასახდელი ხელფასები	257	234
სავაჭრო ვალდებულებები	154	95
დეპონირებული თანხები	148	295
სასამართლო დავის ანარიცხები	190	-
სხვა ვალდებულება	17	131
<b>სულ</b>	<b>766</b>	<b>755</b>

ინფორმაცია სასამართლო ანარიცხების შესახებ იხილეთ განმარტებით შენიშვნა 24-ში.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2022			2021		
	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ
<b>ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან</b>						
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	877	1,287	<b>2,164</b>	652	1,764	<b>2,416</b>
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	798	1,149	<b>1,947</b>	624	944	<b>1,568</b>
ზარალების რეზერვი	737	1,321	<b>2,058</b>	687	1,185	<b>1,872</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	-	<b>14</b>	100	-	<b>100</b>
საიჯარო ვალდებულებები	200	-	<b>200</b>	253	-	<b>253</b>
<b>ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან</b>						
მთლიანი მოზიდული პრემია	1,259	1,719	<b>2,978</b>	1,220	1,335	<b>2,555</b>
დარეგულირებული ზარალები	(1,302)	(1,515)	<b>(2,817)</b>	(624)	(1,200)	<b>(1,824)</b>
საპროცენტო ხარჯი	(26)	-	<b>(26)</b>	(32)	-	<b>(32)</b>
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	17	-	<b>17</b>

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების დაფარვა ხორციელდება ფული და ფულის ეკვივალენტებით, ურთიერთჩათვლებით და სამმხრივი ჩათვლებით. ჯგუფი დაკავშირებული მხარეებიდან სადაზღვევო ზარალებზე იღებს ფასდაკლებას.

უმადლეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება 2022 წელს შეადგენს 315 ათას ლარს (2021 წელი 276 ათასი ლარი).

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**24. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები**

**პირობითი ვალდებულებები** - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს, როგორც მოპასუხეს, გააჩნია სასამართლო დავები, რომლებიც უკავშირდება: სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებას, შრომითი ურთიერთობებს და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებულ ზიანს. მოსარჩელე მხარეების მიერ მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს 649 ათას ლარს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სასამართლო დავების შეჯერებას 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე:

	ანარიცხი საეაჭრო ვალდებულებებში	სადაზღვევო ზარალების რეზერვი	პირობითი ვალდებულება	სულ დავის თანხა
31.12.2021	-	57	278	335
შეფასების ცვლილება	-	115	(115)	-
<b>დასრულებული დავების ეფექტი</b>				
ანაზღაურებული	-	(6)	(5)	(11)
გაუქმებული	-	(16)	(47)	(63)
	-	150	111	261
ახალი დავების ეფექტი	190	-	198	388
31.12.2022	<b>190</b>	<b>150</b>	<b>309</b>	<b>649</b>

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფის დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფის მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოს შეუძლია მიმოიხილოს ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**საზედამხედველო მოთხოვნები** - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულია მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი პირი საქმიანობის ყველა ეტაპზე. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა ჯგუფისთვის შეადგენს 7,200 ათას ლარს. ამასთან, ჯგუფის მზღვეველის საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე თანხა მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, ჯგუფს უნდა გააჩნდეს აქტივები სადაზღვევო რეზერვების დასაფარად. აღნიშნული აქტივების შესაძლო სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ამავე მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფის სადაზღვევო რეზერვების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გააჩნდეს ფული და ფულის ეკვივალენტები საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე არანაკლებ რეზერვის თანხის 10%. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ძირითადად იყენებდა ფულის და ფულის ეკვივალენტებს და საბანკო დეპოზიტებს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ითვალისწინებს ჯარიმას 50 ათასი ლარის ოდენობით. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივები სრული მოცულობით. მზღვეველის მიერ სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების სადაზღვევო რეზერვებთან ზღვრული თანაფარდობის მოთხოვნების დარღვევისას მზღვეველი ჯარიმდება თითოეული ასეთი დარღვევის ფაქტისათვის 5 ათასი ლარით ან ლიკვიდური აქტივების დანაკლისის ოდენობის 2%-ით რომელიც შეადგენს 38 ათას ლარს (2021: 13 ათასი ლარი), იმის გათვალისწინებით, რომელი ოდენობაც უდიდესია. ჯგუფმა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლო სანქციები განიხილა პირობით ვალდებულებად ჯამური მოცულობით 88 ათასი ლარი, რადგან ჯგუფს არ აქვს აღნიშნული ჯარიმების დაკისრების წარსული გამოცდილება. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ჯგუფის მიმართ არ გამოიყენებს აღნიშნულ საჯარიმო სანქციებს.

**25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა დაფარა ვალდებულება სააქციო კაპიტალის განაწილებიდან სრულად.

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### 26.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ მოცემული:

- კომპანიას აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზენჯვასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

### 26.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

#### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

**26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

**26.3 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია**

ჯგუფი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებითობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

**26.4 აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)**

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კაპიტალიზდება, როგორც აქტივები (DAC). ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. აკვიზიციის გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზება ხდება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

**26.5 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი**

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ადეკვატურია თუ არა მისი აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებები, რისთვისაც იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებებს. თუ აღნიშნული შეფასებებიდან ჩანს, რომ ჯგუფის სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (შემცირებული შესაბამისი გადავადებული შემენის დანახარჯებითა და შესაბამისი არამატერიალური აქტივებით) ადეკვატური არ არის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების ფონზე, მთელი დეფიციტური თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**26.6 გადაზღვევის კონტრაქტები**

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი ჯგუფის უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც ჯგუფის წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

**26.7 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები**

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან ბრუტო თანხით.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს სადაზღვევო

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალი იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

### რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი ჯგუფის უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). ჯგუფის ასევე შეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

ჯგუფი რეგრესიდან მოთხოვნებს განიხილავს, თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით გაუფასურებულ მოთხოვნებად. ჯგუფი ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს საკრედიტო რისკით კორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და გამოიყენებს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ჯგუფი განიხილავს წარსულ გამოცდილებას და რეგრესიდან მოთხოვნას აღიარებს მაშინ, რიდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მოსალოდნელ წმინდა ფულადი ნაკადებს. რეგრესიდან მოთხოვნები აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადაზღვევის წილის გამოკლებით. რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება სადაზღვევო ზარალების ხარჯში.

### 26.8 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ ჯგუფის ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას ჯგუფი ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება ჯგუფის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა ხორციელდება ჯგუფის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე და აისახება, როგორც ვალდებულება.

### 26.9 შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(i) მოზიდული პრემია

მოზიდული სადაზღვევო პრემიების აღიარება ხდება პოლისის გაცემისთანავე, ხოლო მათი გამომუშავება ხდება პროპორციულად, შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში. მოზიდული სადაზღვევო პრემიები ასახავს წლის განმავლობაში დაწყებულ საქმიანობას მიმდინარე ან წინა პერიოდის გამოუმუშავებელი პრემიის გაუქმების გამოკლებით. გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდგომ რისკის პერიოდებს. გამოუმუშავებელი პრემია გამოითვლება სადაზღვევო პერიოდის დღეების პროპორციულად. შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. მთლიანი მოზიდული პრემიის და გამოუმუშავებელი პრემიის ცვლილების ჯამით მიიღება საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი სადაზღვევო კონტრაქტებიდან.

(ii) გადაზღვევის პრემიები

გადაზღვევის კონტრაქტებთან დაკავშირებით გადასახდელი პრემიების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაფორმდა გადაზღვევის ხელშეკრულება. პრემიების ხარჯად აღიარება ხდება გადაზღვევის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გადაზღვევის პერიოდის დღეების პროპორციულად. შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული გადაზღვევის პრემიის წილი გადავადდება, როგორც გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელ პრემიაში. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. მთლიანი გადაზღვევის პრემიის და გამოუმუშავებელ პრემიაში გადაზღვევის წილის ცვლილების ჯამით მიიღება საანგარიშგებო პერიოდის გადაზღვევის ხარჯი.

### 26.10 ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

#### ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება სადაზღვევო საქმიანობიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში. ჯგუფი სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სადაზღვევო და სხვა სავაჭრო მოთხოვნებს, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

#### ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური



**26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

**26.11 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის ღირებულების განაწილებით დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	50
კომპიუტერული ტექნიკა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

**26.12 იჯარა**

**ჯგუფი როგორც მოიჯარე**

**იჯარის იდენტიფიკაცია**

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

**საწყისი აღიარება**

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

## შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

### იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადად შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადად შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადად შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადად შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვანად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

### ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

### საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. შემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

### ჯგუფი როგორც მეიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის დაწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფინანსური იჯარით გადაცემული აქტივები წარდგება, როგორც მოთხოვნები, ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. ნეტო საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. ქვეიჯარის შემთხვევაში, თუ ქვეიჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ძირითადი იჯარის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.

იჯარის ვადის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ისეთი სქემის საფუძველზე აღიარდება, რომელიც ასახავს მეიჯარის ნეტო საიჯარო ინვესტიციის უკუგების მუდმივ (უცვლელ) პერიოდულ განაკვეთს. ფინანსური იჯარის აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურების პოლიტიკა შესაბამისაა ფინანსური აქტივების შესაბამის პოლიტიკას.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით, ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ იგი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას.

### 26.13 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ხელმძღვანელობის შეფასებით არსებული არამატერიალური აქტივების ამორტიზირება მოხდება ხუთი წლის განმავლობაში.

### 26.14 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმოქმნილ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

### 26.15 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფის მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება შესაძლებელია, მაშინ არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### 26.16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

### 26.17 მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

## 26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2023 წლიდან ჯგუფი გადადის მოგების გადასახადის ახალ მოდელზე, რომლის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად, ჯგუფი გადავადებულ საგადასახადო აქტივს აღიარებს იმ მოცულობით, რის გამოყენებასაც შეძლებს 2022 წლის ჩათვლით.

### 26.18 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გადარჩენილი ქონების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გადარჩენილი ქონების ჩამოწერა ხორციელდება ინდივიდუალური მეთოდის მიხედვით, დანარჩენი მარაგების საშუალო შეწონილი მეთოდით.

### 26.19 სააქციო კაპიტალი

ჯგუფის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. გამოშვებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით. სხვაობა შენატანების რეალურ ღირებულებას და აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება როგორც საემისიო კაპიტალი.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

### კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

### კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც გამოხატავს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას. სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

### სუბიექტის განვითარების გეგმები

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ დაარსდა 2009 წელს და 13 წელია ეწევა სადაზღვევო საქმიანობას საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. კომპანია დაარსების დღიდან ფლობს როგორც სამედიცინო დაზღვევის ასევე არასამედიცინო დაზღვევის ლიცენზიას და აქტიურად ახორციელებს ორივე სფეროში მოვლას.

სადაზღვევო ბაზრის ინდუსტრია ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის ტენდენცია 2022 წელსაც შენარჩუნდა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 2020 წელს დაწყებულმა მსოფლიო პანდემიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სადაზღვევო ბაზრის ზრდის ტენდენციაზე, თუმცა შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 2022 წელს პანდემიის მიერ გამოწვეული სირთულეები დაძლეულ იქნა და ბაზარი ნელ-ნელა უბრუნდება ზრდის ნიშნულს 2020 წლამდე.

ალფა დაზღვევის ზრდის მაჩვენებელში გარკვეულწილად ასახულია სადაზღვევო ბაზრის მოვლენები, მაგრამ აქვე აღსანიშნია მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის სტრატეგიაში, რამაც გამოიწვია კომპანიის განვითარების მაჩვენებლების გადახრა ზოგადი მონაცემებიდან. ცხრილი გვიჩვენებს ბაზრის და კომპანიის ბოლო 4 წლის მოზიდვას.

წელი	სადაზღვევო ბაზარი		ალფა	
	მოზიდული პრემია	ზრდის ტემპი	მოზიდული პრემია	ზრდის ტემპი
2019	625	15%	19	2%
2020	667	7%	15	-21%
2021	773	16%	12	-19%
2022	910	18%	18	52%

ცხრილში ინფორმაცია წარმოდგენილია მილიონებში. სადაზღვევო ბაზრის ინფორმაცია აღებულია საიტისგან [www.insurance.gov.ge](http://www.insurance.gov.ge).

მოზიდული პრემიის შემცირება 2020-2021 წლებში რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული, რომელთაგან მნიშვნელოვან როლს ასრულებს პანდემია და ის მასობრივი შეზღუდვები რაც ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში არსებობდა კოვიდ 19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ასევე, შემცირება გარკვეულწილად გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით.

2022 წელს კომპანიამ განაახლა მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში და ამ კუთხით შეიქმნა დამატებითი არხი მოზიდვის გასაზრდელად. ტენდერებში აქტიურად მონაწილეობის სტრატეგიას კომპანია იყენებს 2023 წელსაც.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ საანგარიგებო პერიოდში აგრძელებს საქმიანობას სხვადასხვა დაზღვევის სახეობაში. გასულ პერიოდთან შედარებით კომპანიამ შეზღუდა და მინიმუმამდე დაიყვანა ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტში პოლისების გაცემა, რითაც შეამცირა კომპანიისთვის მოცულობითი ზარალის დადგომის რისკი. ალფა დაზღვევამ ასევე რისკის ეფექტურად მართვიდან გამომდინარე 2022 წელს უარი თქვა აგრო დაზღვევის პროდუქტში მონაწილეობაზე, ვინაიდან ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე პროდუქტის ეფექტურობა სადაზღვევო კომპანიისთვის ნულზე ნაკლებია.

2022წელს სს სადაზღვევო კომპანია ალფა აქტიურად აგრძელებს გასულ წელს დაწყებულ ელექტრონული სისტემის დანერგვას, რასაც ასევე ემატება ახალი აპლიკაციის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს დაზღვეულთა ურთიერთობას კომპანიასთან, გამარტივდება დოკუმენტების ბრუნვა, დაზღვეული მიიღებს სწრაფად ინფორმაციას და გაეცნობა სიახლეებს ერთი აპლიკაციის საშუალებით.

კომპანიამ 2022 წლის აპრილის თვიდან მოახდინა სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ რებრენდინგი და მომხმარებელს წარუდგინა ალფა დაზღვევის კონცეფცია, რომლის ძირითადი გზავნილია დაზღვევა, როგორც თანამედროვე, მარტივი და ყოველთვის გვერდში მდგომი მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე პროდუქტი. ახალმა სარეკლამო კამპანიამ მოიცილა უამრავი სოციალური ქსელი, რამაც ასახვა პოვა საცალო პოლისების გაყიდვების ზრდის მიმართულებით.

აქტიურ სარეკლამო ღონისძიებებს კომპანია 2023 წელსაც გეგმავს, რითაც სურს გაზარდოს დაზღვევის ინფორმაციულობა საზოგადოებაში და ალფა დაზღვევა ჩამოაყალიბოს როგორც, სადაზღვევო კომპანია რომელიც ნებისმიერ დროს მოაგვარებს თავისი დაზღვეულების უსიამოვნებებს.

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ**

2023 წლის მარტის მდგომარეობით სს სადაზღვევო კომპანია ალფას აქვს მოქმედი ფილიალები და სერვისცენტრები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.


**კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა**

ამ მიმართულებით ჯგუფში 2022 წელს არ ჩატარებულა შესაბამისი ღონისძიებები.

**აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები**

2022 წლის განმავლობაში ჯგუფში განხორციელდა ცვლილებები, ფინანსური და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში, გასული წლის მსგავსად, შენარჩუნდა სამედიცინო და არასამედიცინო დაზღვევის მიმართულებით არსებულ ძირითად სადაზღვევო პროდუქტებზე კონცენტრაცია:



- შეიქმნა დებიტორების მართვის სამსახური, რომელიც მართავს როგორც დებიტორული, ასევე რეგრესულ მოთხოვნებს;
- სადაზღვევო კომპანია ალფა აგრძელებს საერთაშორისო ურთიერთობებს, კერძოდ 2022 წლის ბოლოს კომპანია თანამშრომლობს 5 მსხვილ, მაღალრეიტინგულ გადამზვეველთან
- 2020 წელს კომპანიამ დაწერა ახალი სადაზღვევო პროგრამა, დაწერვის პროცესში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ყველა განყოფილებიდან წევრს, აქტიურად აგრძელებს მუშაობას. ჯგუფის მიზანია გაანალიზოს აქამდე არსებული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შექმნას კონკრეტული დავალებები, რაც უნდა იყოს ახალ პროგრამაში სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული სქემით მუშაობა გრძელდება 2023 წელსაც
- 2022 წელს კომპანია აგრძელებს ურთიერთობას სავალდებულო დაზღვევის ცენტრთან. ცენტრმა კომპანიას მოუტანა დამატებით 2,334 ათასი ლარის მოზიდვა (2021: 1,275 ათასი ლარი) და მოგება 1,715 ათასი ლარი (2021: 945 ათასი ლარი).





სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ჯგუფი

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ**

თანამშრომლების რაოდენობა – 150. მათ შორის: მამაკაცი – 39 (26%), ქალი – 111 (74%), უმაღლესი განათლება – 129 (86%).

**ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ**

ჯგუფს 2022 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია წილისა და აქციების შეძენა.

**წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები**

მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქმედება:

2022 წლის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან 118%-ს შეადგენს (2021: 143%), რაც იმას გულისხმობს, რომ ჯგუფს მოკლევადიან პერიოდში აქვს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები. აღნიშნული კოეფიციენტი შემცირებულია გასულ წელთან შედარებით.

ლიკვიდობის მიმდინარე კოეფიციენტი	2018	2019	2020	2021	2022
	165%	121%	142%	146%	118%

$$\text{მიმდინარე კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

მომგებიანობის კოეფიციენტი შენარჩუნებულია გასული წლის დონეზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილზე მოცემულია მთლიანი მარჟის, კაპიტალის უკუგებისა და მთლიანი აქტივების უკუგების კოეფიციენტების მდგომარეობა დინამიკაში.

	2018	2019	2020	2021	2022
მომგებიანობის კოეფიციენტი	75%	20%	162%	55%	54%
უკუგება კაპიტალზე	37%	-96%	28%	-46%	-34%
უკუგება მთლიან აქტივებზე	15%	-22%	9%	-16%	-6%

$$\text{მთლიანი მარჟა} = \frac{\text{სადაზღვევო მოგება}}{\text{სადაზღვევო ზარალები}} \text{ განსაზღვრავს სადაზღვევო მოგების წილს სადაზღვევო ზარალებში.}$$

$$\text{უკუგება კაპიტალზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{კაპიტალი}} \text{ გვიჩვენებს რამდენი პროცენტია უკუგება ინვესტირებულ კაპიტალზე.}$$

$$\text{უკუგება მთლიან აქტივებზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მთლიანი აქტივები}} \text{ გვიჩვენებს უკუგებას მთლიან აქტივებზე.}$$

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

**ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

**სადაზღვევო და საოპერაციო რისკები**

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობა, სადაზღვევო პროდუქტები შეიცავს რისკებს. ჯგუფის ანდერაიტერი განსაზღვრავს თუ რომელი სახეობა შეიცავს რისკის დიდ ალბათობას და ახდენს ამ რისკების გადაზღვევას საერთაშორისო ბაზარზე მოქმედ გადამზღვეველ კომპანიებთან.



ცხრილზე ნაჩვენებია 2022 წლის გადამზღვევის კუთვნილი პრემია მხოლოდ არაჯანმრთელობის გამომუშავებულ პრემიასთან მიმართებით, რადგან ჯგუფს სადაზღვევო აქვს მხოლოდ არაჯანმრთელობის დაზღვევა. გამომუშავებული პრემიის ცვლილების პროპორციულად იცვლება გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიაში.

სადაზღვევო სფერო, როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ბაზარზე მკაცრად კონტროლირებადი სფეროა, ამიტომ, სახელმწიფო თავად ახდენს მის წინაშე არსებული რისკების კონტროლს სხვადასხვა რეგულირებებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს. ასევე, კომპანიას შექმნილი აქვს სავალდებულო რეზერვი დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის ბრძანების შესაბამისად და გადანაწილებული აქვს ის საქართველოს მასშტაბით მოქმედ სხვადასხვა ბანკში, 2019 წლის დასაწყისისთვის სავალდებულო რეზერვის ოდენობა გაიზარდა 2 მლნ ლარით და შეადგენს 4,2 მლნ ლარს. ასევე, მომხარებლისა და კომპანიის გადახდისუნარიანობის გაზრდის მიზნით ზედამხედველობის სამსახური გეგმავდა 2020 წლის ბოლოსთვის რეზერვის გაზრდას დამატებით 3 მლნ ლარით, თუმცა შექმნილი პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა სექტორი, რის გამოც იქნა შეტანილი ცვლილება კანონმდებლობაში და სავალდებულო რეზერვის გაზრდის თარიღი გადავადდა ერთი წლით. 2022 წლის 31 დეკემბერს ალფა დაზღვევის კაპიტალი 3 მლნ ლარით შეავსო დამფუძნებელმა კომპანიამ შპს „ავერსი ფარმამ“. დამფუძნებელი კომპანიის დახმარებით და საზედამხებელო კაპიტალი გაიზარდა განსაზღვრულ 7,2 მლნ ლარამდე.

გარდა სადაზღვევო რისკებისა, ჯგუფის წინაშე დგას სხვა საოპერაციო რისკებიც, როგორებიცაა:

1. თანამშრომლების მხრიდან თაღლითობა;
2. თანამშრომლების მიერ მონაცემების არასწორად შევსება;
3. სალაროდან თანხის დატაცება;
4. თაღლითობა კლიენტისა და პროვაიდერის მხრიდან;
5. ბუღალტრული შეცდომები
6. კიბერ შეტევის რისკი;
7. არასრულყოფილი პროგრამული უზრუნველყოფა;
8. სტიქიური უბედურება.

საოპერაციო რისკების თავიდან ასაცილებლად ჯგუფი მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებებს.

1. თანამშრომლების მხრიდან თაღლითობის რისკის შესამცირებლად ჯგუფს რისკის შემცველი საქმიანობები დაყოფილი და გადანაწილებული აქვს სხვადასხვა თანამშრომელზე, რომლებიც დამოუკიდებლად განიხილავენ საკითხს, ადასტურებენ და აავტორიზებენ მას პროგრამულად. გარდა ამისა, ჯგუფს ჰყავს შიდა აუდიტის სამსახური, რომლის საქმიანობაც, ფინანსური ინფრმაციის კონტროლთან ერთად მოიცავს ჯგუფში მიმდინარე პროცესების აუდიტსაც.

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

2. თანამშრომლების მიერ მონაცემების არასწორად შევსება საბოლოო ჯამში დიდ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებების სისწორეზე. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, პროგრამისტების მიერ პროგრამაში ჩაშენებულია ვალიდაციები, რომლებიც ამცირებს მექანიკური შეცდომების რისკს, გარდა ამისა, სოპერაციო განყოფილების მიერ ასახულ ინფორმაციას პროგრამაში ჩაშენებული რეპორტების დახმარებით ამოწმებენ ამ ინფორმაციის მომხმარებლები, ანუ სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლები. დამატებით, ჯგუფის ფინანსური სამსახური ყოველთვიურად ანალიზებს მიღებული შედეგების ლოგიკურობას.

3. სალაროდან თანხის დატაცების რისკის აღმოსაფხვრელად ჯგუფს ბუღალტრული ოპერაციები დაყოფილი და გადანაწილებული აქვს სხვადასხვა თანამშრომლებზე, გარდა ამისა, სალაროს ოპერაციები აღირიცხება ორ დამოუკიდებელ პროგრამაში ორი დამოუკიდებელი დეპარტამენტის მიერ და დარდება ერთმანეთს მთავარი ბუღალტრის მიერ ყოველდღიური რეპორტინგის საშუალებით.

4. კლიენტების მხრიდან თაღლითობა პოლისის დარეგისტრირების პროცესში შედარებით მაღალი ალბათობით შესაძლოა დადგეს ავტო დაზღვევის სახეობაში. ამის თავიდან ასაცილებლად თითოეული დაზღვევის ობიექტი დაზღვევამდე სურათდება და იტვირთება პროგრამაში. პროცესი კონტროლდება სპეციალური მონიტორინგის სამსახურის მიერ. ასევე, დარეგულირებამდე თითოეული ზარალი რამდენიმე საფეხურს გადის და თითოეული დოკუმენტი მოწმდება სხვადასხვა თანამშრომლის მიერ. რაც შეეხება პროვაიდერების მხრიდან თაღლითობას, ჯგუფს პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს სწორია თუ არა მის მიერ მოწოდებული ანგარიში. ჯგუფში არსებობს ცალკე ექსპერტიზის სამსახური, რომელიც სპეციალურად ამისთვის არის შექმნილი და პერიოდულად უშუალოდ ადგილზე გასვლით ამოწმებს სხვადასხვა პროვაიდერის მიერ მოწოდებულ ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს თანხას.

5. ბუღალტრული შეცდომები ყოველი ბიზნესის თანმდევი მოვლენაა. ამ რისკის შესამცირებლად ჯგუფს ჰყავს შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ყოველთვიურად ამოწმებს და ადასტურებს ანგარიშგებებს. ასევე თავად ბუღალტერიისა და ფინანსური განყოფილების მხრიდან ყოველი თვის ბოლოს მიმდინარეობს საბუღალტრო და სადაზღვევო პროგრამის შესადარი მონაცემების ძირეული დამუშავება.

6. კიბერ შეტევებთან დაკავშირებული რისკები, გლობალურ ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ერთად იზრდება და წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ საოპერაციო საშიშროებას, რომელიც ფინანსურ სისტემას ემუქრება. მონაცემთა ბაზის დაუცველობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად აზარალოს ჯგუფი. კიბერ შეტევის რისკი ჯგუფს უდგას როგორც შიდა, ასევე გარე დონეზე. შიდა დონეზე, ანუ თანამშრომლების მხრიდან მონაცემთა ბაზების ბოროტად გამოყენების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს სპეციალური სადაზღვევო პროგრამა, რომელსაც იყენებს ჯგუფი. პროგრამა ითვალისწინებს მონაცემებზე წვდომის გარკვეულ შეზღუდვებს სხვადასხვა დეპარტამენტების მხრიდან. ასევე ჯგუფიდან მონაცემების გატანის შესაზღუდად აიტი სამსახურს დაყენებული აქვს გარკვეული შეზღუდვები მეილების სისტემაზე. რაც შეეხება გარედან განხორციელებული კიბერ შეტევის რისკის შესამცირებლად ჯგუფის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური იყენებს სხვადასხვა პროგრამულ კიბერუსაფრთხოების მექანიზმებს.

7. სადაზღვევო სფეროში გამართული პროგრამის არსებობა ჯგუფის ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარე პროგრამისტების მხრიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამის სისტემის კონტროლი და გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოფხვრის პროცესი.

8. სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ზიანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჯგუფისათვის, რადგან შესაძლებელია, რომ რომელიმე რეგიონში მომხდარმა სეტყვამ, ან წყალდიდობამ, ან ხანძარმა გამოიწვიოს იმ რეგიონში წარმოდგენილი ყველა დაზღვეულის მიერ ზარალის ერთდროული განცხადება და ჯგუფის რეზერვები ვერ გასწვდეს ზარალებს და გახდეს გადამხდელუუნარო. ეს რომ არ მოხდეს, ჯგუფი მიმართავს ორ გზას: 1). ახდენს ასეთი რისკის შემცველი სახეობებს გადაზღვევას დიდი პროცენტული წილით, 2) ცდილობს მოიცვას სხვადასხვა რეგიონები, რათა მოახდინოს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის რისკის შემცირება.

გარდა ზემო აღნიშნულისა, ჯგუფი ცდილობს დროულად დაადგინოს და მართოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკი და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ახალი პროდუქტის და საქმიანობის რისკმა გაიაროს სათანადო კონტროლი მათი დანერგვის ან გამოყენების წინ.

**კომერციული რისკი**

გარდა საოპერაციო რისკებისა, თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიების წინაშე საბაზრო რისკებიც წარმოიშვება. საბაზრო რისკებიდან მნიშვნელოვანია კონკურენტული რისკი. სადაზღვევო ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტუნარიანია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ბაზარზე გაჩნდეს ახალი მოთამაშე, ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს შემოსავლების შემცირების რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჯგუფი გეგმავს შექმნას და შეინარჩუნოს ლოიალური დამოკიდებულება კლიენტებთან და სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტების დანერგვით მოახერხოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბაზარზე. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე სწრაფი რეაგირება გარემოს ცვლილების პარალელურად.